143A 143B

Ⴜ̃ა Ⴈოვანე Ⴍქროპირი

# ႸႤႱႪႥႠႱႠ ႭႴႪႨႱႠႱႠ ႨႤႰႳႱႠႪႤႫႣ*

## Ⴑაკითხავი Ⴆაქარია წინაწარმეტყუელისაჲ

Ⴂიხაროდენ ფრიად, ასულო **სიონისაო**, ქადაგებდ ასული ეგე **Ⴈერუსალემისაჲ**, რამეთუ აჰა ესერა Ⴋეუფჱ შენი მოვალს შენდა მართალი და Ⴋაცხოვარი, Ⴈგი Ⴇავადი მშჳდ არს და ზე ზის კარაულსა კიცუსა ახალსა და შემდგომი ამისი(ზაქ.9,9).

საკჳრველთაგან საკჳრველსა მოუჴდეთ, ძმანო, და ვეწინეთ, რამეთუ ვითარცა ჯაჭჳთა ოქროჲსაჲთა ვერძნი ერთად შეკრულ არიედ და ერთი-ერთსა ვერ გაეშორნიან და ეგრჱთ მიიძლუანნიან მეფისა, ეგრეცა Ⴜმიდათა Ⴑახარებათა საკჳრველებანი ურთიერთას წარუძღუან ერსა მას Ⴖმრთის მოყუარეთასა, ახარებედ არა თუ საწუთროჲსა ჭამადითა, არამედ რომელი უკუნისამდე ჰგიეს.

Ⴀწ ჩუენცა, საყუარელნო, განმარტებულითა გულითა და ყურითა მორჩილებით გუესმინოს, რაჲ გურქუა ჩუენ Ⴍფალმან წინაწარმეტყუელთა მიერ და Ⴑახარებათა წმიდისა ამის დღესასწაულისათჳს. Ⴋან განაღა ჰრქუას მშჳდობაჲ ერსა წმიდათა მისთასა და მათსა, რომელნი მოქცეულ არიან გულითა(ფს.84,8). Ⴃღეს წინაწარმეტყუელთა ჴმათა ფართო ქმნეს სოფელი და Ⴄკლესიანი განაშუენნეს და გჳრგჳნოსან ყვნეს და წმიდათა ამათ დღეთა ერგასისთა ერი მორწმუნჱ შეირთეს და გალობასა ახალსა მისცემენ უძლეველსა Ⴍფალსა.

Ⴀწ მოვედით და ვიხარებდეთ Ⴍფლისა მიმართ. Ⴀწ ყოველნი თესლნი მოვედით და აღვიტყუელნეთ ჴელნი და ღაღად-ვყოთ Ⴖმრთისა მიმართ ჴმითა სიხარულისაჲთა. Ⴃა ნუვინ დააკლდებინ წოდებასა ამას სიხარულისასა, რამეთუ თესლი იგი ურწმუნოჲ წარწყმედასა მიეცა.

Ⴀწ ნუვინ დაბრკოლდებინ და შეურაცხჰყოფნ მიგებებასა მას Ⴋეუფისასა, ნუუკუე სასიძოჲსა მას გარე დაშთეს და დაეჴშას კარი, ნუვინ მწუხარე და მგლოვარე არნ ამას მოსლვასა, რაჲთა არა დაესაჯოს მას ბოროტთა მოქალაქეთა თანა. Ⴐომელთა ვიტყჳ მოქალაქეთა? – რომელთა არა შეიწყნარეს Ⴍფალი თჳსი მეუფჱ.

Ⴀწ ყოველნი გულს-მოდგინედ მივეგებვოდით და ყოველთა სიხარულით შევიწყნაროთ და ვდღესასწაულობდეთ; სამოსლისა წილ დაუფინნეთ გულნი ჩუენნი წინაშე Ⴋისსა და ფსალმუნითა და გალობითა მადლობით მივეგებვოდით და ვიტყოდით: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴍფლისაჲთა»!

Ⴃაუცხრომელად ვღაღადებდეთ, რამეთუ მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ არიან და მწყევარნი მისნი წყეულ არიან.

Ⴃა კუალად ვთქუა და უფროჲს გულს-მოდგინე გყვნე და კეთილი იგი არა დავაცადო. Ⴋოვედით, საყუარელნო, ვაკურთხოთ კურთხეული იგი, და რაჲთა ჩუენცა ვიკურთხნეთ მისგან, რამეთუ ყოველი ჰასაკი და ყოველი მოწესჱ გუიჩინა კურთხევასა მას და გალობასა Ⴍფალმან. «Ⴋეფენი ქუეყანისანი და ყოველი ერი, მთავარი და ყოველნი მსაჯულნი ქუეყანისანი აქებდით სახელსა Ⴍფლისასა!»(ფს.148,11).

Ⴃა უფროჲს ხოლო საკჳრველი ესე, რამეთუ ყრმათა ჩჩჳლთა მიჰმადლა ესევითარი გალობაჲ Ⴍფალმან, რამეთუ მის მიერ ესწავა მათ, ვითარცა პირველსა მას **Ⴋოსეს** მაშინ ერისა თანა.

Ⴃღეს იხარებს სიხარულით ნეტარი **Ⴃავით**, რამეთუ მოეპარა მას ყრმათაგან ქნარი იგი ათძალი საგალობელი. Ⴀწ თჳთ იგი მათ თანა იხარებს და გალობს სულითა, ვითარცა პირველ წინაშე კიდობანსა მას Ⴍფლისასა. Ⴃღეს ამათ თანა გალობს, უხარის და იტყჳს: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴍფლისაჲთა».

Ⴀწ რომელსა-ესე ვიკითხავთ, წინაწარმეტყუელო **Ⴃავით**, გჳთხარ ჩუენ, ვინ არს ესე «მომავალი სახელითა Ⴍფლისაჲთა?» და იგი იტყჳს: დაღათუ ჩემი არს სიტყუაჲ, არამედ თქუმად ყრმათა მიცემულ არს და მათგან დამტკიცე-

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. ა.კ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 141-148.

ბულ არს ქებაჲ მისგან, რომელმანცა მისცა მათ; რამეთუ «პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ, რაჲთა დაჰჴსნდეს მტერი იგი შურის-მგებელი»(ფს.8,2; მთ.21,16), რაჲთამცა ესევითარითა საკჳრველებითა უკმოიქცეს გულნი მათნი შვილთა ზედა და ურწმუნონი გონებითა მართალთაჲთა(ლუკ.1,17).

Ⴀწ, ყრმანო, გჳთხართღა ჩუენცა, ვინაჲ თქუენდა ესევითარი გალობაჲ შუენიერი? ვინ გასწავა, ანუ ვინ გულისხმა-გიყო, ანუ ვინ შეგკრიბნა, და თუმცა შეგუიზიარენით ჩუენცა? და იგინი გუეტყჳან: გალობდით თქუენცა და გესწაოს **Ⴋოსჱსი**.

Ⴀმიერითგან ჩუენცა შეგკრთნეს ყრმათა მათ და მოგუცნეს ჴელნი. Ⴀწ მოვედით, საყუარელნო, და ჩუენცა მათ თანა ამას გალობასა Ⴖმრთისა მიმართ ვიტყოდით და ვადიდებდეთ მას, რომელი-იგი ამაღლდა ცასა ცათასა აღმოსავალით და ქუეყანასა ზედა, ვითარცა Ⴋას სათნო-უჩნდა, ჯერ-იჩინა კიცუსა ზედა დაჯდომაჲ.

Ⴀწ ყრმათა თანა აღვიღოთ რტოები ზეთისხილისაჲ და ვგალობდეთ, რაჲთა ჩუენცა Ⴑულმან Ⴜმიდამან მოგუხედოს. Ⴃა ამას Ⴖმრთით სწავლულსა გალობასა დაწყნარებით ვიტყოდით: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა! Ⴍსანა მაღალთა შინა»!

Ⴃღეს **Ⴈაკობცა** მამათ-მთავარი იხარებს, რამეთუ ჰხედავს წინაწარმეტყუელებულსა მისსა, რამეთუ საქმით იქმნა, ვითარმედ: «გამოაბას ვენაჴსა კიცუი თჳსი»(დაბ.49,11), რომელცა-ესე ჯერ-იჩინა Ⴋაცხოვარმან დაჯდომაჲ კიცუსა ზედა. Ⴃა მცირედრე შემდგომად თქუა ხოლო, ვითარმედ: «იგი არს სასოებაჲ წარმართთაჲ»(დაბ.49,10). Ⴀწ იგიცა სულითა იხარებს მორწმუნეთა თანა და ესევითარითა მით წოდებასა მას წარმართთასა აუწყებს, რომელ-იგი პირველ დაუმორჩილებელ იყვნეს. Ⴀწ მათცა მოიყვანებს სარწმუნოებად, რამეთუ დღეს Ⴋეუფჱ დიდებისაჲ ქუეყანასა ზედა წინაწარმეტყუელებით იდიდების და ზიარ-ჰყოფს ქუეყანისათა ზეცას, რაჲთა აჩუენოს, ვითარმედ იგი არს ორთაჲვე Ⴓფალი და ვითარ ორთაგან იდიდების.

Ⴈსმინე, ამისთჳს რამეთუ ზეცისანი იგი ქუეყანისა ცხორებასა უთხრობენ და გალობით იტყჳან: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს Ⴓფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა Ⴋისითა»(ეს.6,3). Ⴀმას სიტყუასა



მეწამების მე ჴმა-მაღალი **Ⴄსაია**, და ქუეყანით ყრმანი ზეცისა თანა მობაძავად სიხარულით იტყჳან: «ოსანა მაღალთა შინა! ოსანა Ⴛეო **Ⴃავითისო**! კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა! კურთხეულ არს დიდებული Ⴓფალი ადგილსა წმიდასა Ⴋისსა ზეცას! მშჳდობაჲ და დიდებაჲ მაღალთა შინა!»(მთ.21,9; მრკ.11,9-10; ლუკ.19,38). Ⴃა ესევითარიღა ესე აღესრულებოდა, უფროჲს ხოლო აღივსნეს მოწაფენი სიხარულითა.

Ⴃა ვითარცა შევიდა Ⴈესუ **Ⴈერუსალემდ**, შეიძრა ქალაქი იგი და იტყოდეს: ვინ არს ესეო?(მთ.21,10). არა ნუ იცოდესა? გარნა დაბრმეს შურითა დიდებისა Ⴋისისათჳს. Ⴓფლისა ქალაქიღა ესე ვთქუ, ძუელსა ამას ვიტყჳ კრებულსა დაუწყნარებელსა. Ⴐამეთუ ჰკითხვენ უკეთურნი იგი: ვინ არს Ⴄსეო, სახელოვანი და საკჳრველთ-მოქმედიო? «რამეთუ ბნელი ვერ ეწია Ⴌათელსა მას»(ინ.1,5). Ⴅითარ არასადა იხილეს მამათა მათთა და რომელი-იგი **Ⴄსაია** თქუა მათთჳს: «ყრუთა ისმინეთ, ბრმათა აღიხილენთ! და ვინ ბრმა, გარნა ყრმანი ჩემნი? და ვინ ყრუ, გარნა რომელნი-იგი მათ ეუფლებიან? – არამედ დაბრმეს მონანი Ⴖმრთისანი. Ⴈხილეთ მრავალ-ჯერ და არა დაიმარხეთ; გესხნეს ყურნი და არა ისმინეთ»(ეს.42,18-20).

Ⴀწ ხედავთა, ვითარ ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ ესე, რომელ წინავე თქუა Ⴑულმან Ⴜმიდამან, რამეთუ ჰხედვიდეს უმადლონი იგი თუალითა და ჴელითა ჩმუნვიდეს საკჳრველ-მოქმედსა მას და ურწმუნოებასა ზედა დაადგრეს! იხილეს მათ ყრმაჲ შობითგანი ახილული და მადიდებელი Ⴓფლისაჲ; იხილეს მათ განრღუეული, რომელსა დაეყო ათურამეტი წელი, სიტყჳთა აღდგომილი; იხილეს Ⴄგი ზღუასა ზედა მავალი; იხილეს **Ⴊაზარე** ოთხისა დღისა აღდგომილი; არა ნუ იხილესა **Ⴉანას** ქორწილსა მას, ოდეს-იგი წყალი გარდააქცია ღჳნოდ? გინა თუ ოდეს-იგი მცირედითა პურითა რავდენი სული გამოზარდა? და ვითარ-იგი სნეულნი და ეშმაკეულნი განიკურნებოდეს, და ყოველსა სოფელსა განითქუმოდა მისი იგი საკჳრველებაჲ? აწ ესევითარი გალობაჲ მისთჳს ითქუმის და იტყჳან: «ვინ არს Ⴄსეო?»

Ⴥ უგუნურებაჲ მოძღუართაჲ და ურწმუნოებაჲ და უჯერებლობაჲ მოხუცებულთაჲ! Ⴥ თესლო **Ⴕანანისო** ურცხჳნოო, და არა **Ⴈუდაჲსო** Ⴖმრთის მოშიშო! შვილთა იცნეს Ⴘემოქმედი, და მამანი დაბრმეს და იტყოდეს: «ვინ არს Ⴄსეო?»

ჩჩჳლნი და მცირენი Ⴓფალსა უგალობენ და დაძუელებულნი დღეთანი ბოროტთანი ჰკითხვენ: «ვინ არს Ⴄსეო?» ძუძუჲს მწოვარნი ყრმანი კეთილითა სარწმუნოებითა გალობასა მღდელთასა შესწირვენ, და მღდელმნი უგუნურ იქმნებიან და ჰგმობენ, გარდაქცეულნი გონებითა, მოაქციენთ გულნი თქუენნი შვილთაგან და ისწავეთ საიდუმლოჲ Ⴖმრთისაჲ, რომელისთჳს წამებს, რამეთუ Ⴖმერთი არს, რომელი ესრჱთ იდიდების ჩჩჳლთაგან და უსწავლელთა ენათა.

«Ⴂამოიძიეთ Ⴜიგნთაგან»(ინ.5,39), ვითარცა გესმა Ⴓფლისაგან, რამეთუ იგინი არიან მოწამედ მისა. Ⴂესწაოს თქუენ საკჳრველი იგი. Ⴀწ ისმინეთ, რასა იტყჳს **ზაქარია** წინაწარმეტყუელი: «გიხაროდენ ფრიად, ასულო **სიონისაო**, აჰა ესერა Ⴋეუფჱ შენი მოვალს წმიდაჲ და Ⴋაცხოვარი; და იგი თავადი მშჳდ არს და ზე ზის იგი კიცუსა»(ზაქ.9,9). Ⴀწ რაჲსათჳს სიხარულსა მას აყენებთ? ანუ რაჲსათჳს მზჱ ბრწყინავს, და თქუენ გიყუარს ბნელი? რად მშჳდისა მისთჳს ბრძოლად განმზადებულ ხართ? უკუეთუ ხართ ძენი **სიონისანი**, შეერთენით სიხარულსა შვილთა თქუენთასა და სარწმუნოებით გალობაჲ შეწირეთ. Ⴠკითხეთღა ყრმათა მაგათ, ვინძი შეკრიბნა ანუ ვინ ასწავა მათ ახალი გალობაჲ Ⴖმრთისაჲ და ძუელი წინაწარმეტყუელებაჲ? – არამედ არა კაცმან, და იგინი Ⴖმრთეებისასა მას გალობასა იტყჳან.

Ⴀწ ცანთ, რამეთუ Ⴖმრთისა მიერ ესწავა მათ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ»(ფს.8,2; მთ.21,16). Ⴀწ ამიერითგან მრჩობლ გიხაროდენ, რამეთუ ესევითართა ყრმათა მამად იპოენით. Ⴃა რომელი-იგი მღდელთა ვერ ცნეს, მას გალობენ.

Ⴀწ მოაქციენთ გულნი თქუენნი შვილთა თქუენთა და აღიხილენთ თუალნი თქუენნი ჭეშმარიტისა მიმართ. Ⴃა თუ პირველსა უგუნურებასა დაადგრეთ და სმენით არა გესმოდის და ხედვით არა ხედვიდეთ, ცუდად რაჲმე ხართ და იტყჳთ, ვითარმედ ჩუენ უგონიერჱს ვართ ყრმათაო, რამეთუ იგინი იყვნენ თქუენდა განმკითხველ, ვითარცა თქუა Ⴋაცხოვარმან **Ⴄსაიაჲსგან**: «Ⴀწ არა ჰრცხუენის **Ⴈაკობს**, არცა შეიცვალოს პირი **Ⴈსრაელ**; გარნა მაშინ იხილნენ საქმენი ჩემგან, წმიდა-ყონ სახელი Ⴙემი და წმიდა-ყონ წმიდაჲ **Ⴈაკობისი** და Ⴖმერთი **Ⴈსრაელისაჲ** და ეშინოდის და ცნან, რომელნიიგი სულითა სცთებიან გონებასა; და მდრტჳნვალთა ისწაონ სმენაჲ და ენამან ბრგუნვილმან ისწაოს სიტყუაჲ მშჳიდობისაჲ»(ეს.29,22-24).

Ⴀწ იხილეთ, ვითარ წინაწარმეტყუელნი წინავე იტყოდეს თქუენსა სირცხჳლსა თქუენისა უგუნურებისათჳს! ისწავე, ვითარღა Ⴖმრთით იყო სწავლაჲ შვილთაჲ, რომელსა გალობდეს, ვითარცა ნეტარმან **Ⴃავით** თქუა, ვითარმედ: «პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ»(ფს.8,2). Ⴀწ ანუ ყრმათაჲ მათ სარწმუნოებაჲ შეიწყნარეთ და სიწმიდჱ და გიხაროდენ, ანუ სარწმუნოებასა თანა ყმანი ეგე ჩუენ მოგუანიჭენთ, და ჩუენ მათ თანა ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და ვდღესასწაულობდეთ და ერთობით Ⴖმრთივ სწავლულსა მას გალობასა ვიტყოდით: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა»!

Ⴍდესმე პირველ მოხუცებული და წინაწარმეტყუელი **სუიმეონ** მიეგებვოდა Ⴋაცხოვარსა და Ⴘემოქმედსა საუკუნეთასა და მოიქუა მკლავთა თჳსთა ზედა, ვითარცა ყრმაჲ, და Ⴖმრთად და Ⴓფლად ქადაგა. Ⴀწ ესერა მოხუცებულთა Ⴋისი იგი აღსაარებული არა ჰრწამს, და მათ წილ შვილნი მცირენი მიეგებვიან და მკლავთა წილ რტოთა ხეთაგან დაუფენენ და Ⴖმერთსა მათსა აკურთხევენ კიცუსა ზედა მჯდომარესა ვითარცა ქერობინთა ზედა და იტყჳან: «ჵსანა, Ⴋეო **Ⴃავითისო**! კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა»!

Ⴙუენცა ყრმათა თანა ვიტყოდით: კურთხეულ არს Ⴖმრთისაგან Ⴖმერთი Ⴋეუფჱ დიდებისაჲ, Ⴐომელი დაგლახაკნა ჩუენთჳს მდიდარი Ⴄგი, რაჲთა ჩუენ განვმდიდრდეთ Ⴋისითა მით სიგლახაკითა. Ⴉურთხეულ არს მომავალი სიმდაბლით და კუალად მომავალი დიდებით, პირველ კიცუსა ზედა ჯდომით, ვითარცა Ⴜერილი აღესრულების: «გამოჩნდეს სლვანი შენნი, Ⴓფალო, სლვანი Ⴖმრთისა ჩუენისანი და Ⴋეუფისანი»(ფს.67,24), მეორედ – საშინელებით, ღრუბლითა, და ანგელოზნი და ძალნი მსახურებენ.

Ⴄჰა უზაკუველი სწავლაჲ, Ⴖმრთისა სათნოჲ! რამეთუ **Ⴃავით** წინავე თქუა სახელი ფარულად, გარნა ყრმათა საუნჯჱ განაღეს და სიმდიდრჱ გამოაჩინეს გალობით და ყოველნი იჩინნეს შუენიერსა შუენიერებასა.

Ⴀწ ჩუენცა შევიკრიბოთ ყოველთა მათ თანა სიმდიდრჱ იგი ნიჭისა Ⴖმრთისაჲსაჲ, დავიუნჯოთ სახლთა ჩუენთა და დაუცხრომელითა ჴმითა ღაღად-ვყოთ: «კურთხეულ არს მომა-

ვალი სახელითა Ⴓფლისაჲთა»!

Ⴖმრთისაგან Ⴖმერთი მოვიდა, ვითარცა სახელითა Ⴓფლისაჲთა, ყოვლისა მპყრობელისაგან, Ⴛჱ სახელითა Ⴋამისაჲთა, Ⴋეუფჱ ჭეშმარიტი Ⴋეუფისაგან, Ⴐომელი-იგი საუკუნითგან აქუნდა Ⴋეუფებაჲ Ⴋამისა თანა, რამეთუ თანა-სწორებით არს Ⴋეუფებაჲ მათი, და არა სხუით, ვინაჲ პატივი Ⴛისაჲ მოპოვნებულ მოუკლებელად. Ⴐამეთუ ერთი სუფევაჲ Ⴋამისაჲ და Ⴛისაჲ და Ⴑულისა Ⴜმიდისაჲ, ერთი საუნჯჱ, ერთ უფლება, ერთობით თაყუანისცემასა მისა შევსწირავთ ერთობისასა მას Ⴑამებისა Ⴖმრთეებისასა; მიუხედველ, განუცადებელ, გამოუთქმელ; არცა Ⴋამისაჲ სადა იყოს დასასრული Ⴋამობისაჲ, არცა Ⴕრისტესი Ⴛეობაჲ და Ⴋეუფებაჲ, ეგრეცა Ⴑულისა Ⴜმიდისაჲ; ვითარცა არს ერთობითა მით, არცა გამოეჴუას Ⴑამებასა, არცა დასცხრეს... Ⴀრა თუ განკაცებისათჳს თავს-იდვა ჩუენთჳს Ⴛემან Ⴖმრთისამან და ჩუენსა მტერსა სძლო ჴორცითა, ამისთჳსცა Ⴋეუფებაჲ მიეცა, არამედ Ⴓფალ და Ⴖმერთ იყო Ⴈგი, არს და იყოს მარადის Ⴋეუფე. Ⴀწ ნუვინ ჰგმობნ Ⴕრისტესსა მას მეუფებასა, რაჲთა არა Ⴋშობელი იგი მისი განრისხნეს. Ⴓკუეთუ ხარ მორწმუნე, მორწმუნედცა შეემთხჳე Ⴕრისტესა, ჭეშმარიტსა Ⴖმერთსა, და ნუ დაფარულად გაქუნ აზნაურებაჲ იგი. Ⴃა უკუეთუ მონაჲ ხარ Ⴕრისტესი, შიშით დაემორჩილე, რამეთუ მაცილობელი არა-ერთგული მონაჲ არნ, გარნა ჩას, ვითარ უკეთურ არს, რამეთუ წერილ არს: «რომელმან არა პატივ-სცეს Ⴛესა, მან არა პატივ-სცა Ⴋამასა მომავლინებელსა Ⴋისსა»(ინ.5,23).

Ⴀრამედ ჩუენ, საყუარელნო, ამასვე გალობასა ვიტყოდით: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა»! Ⴋწყემსი იგი კეთილი სახიერი, Ⴐომელი დასდებს სულსა Ⴋისსა ცხოვართა მისთათჳს(შდრ.ინ.10,11). Ⴅითარცა-იგი მწყემსი ეკრძალებინ ცხოვართა მჴეცთაგან, ეგრეცა Ⴀმან Ⴋწყემსმან ჭეშმარიტმან ჴორცნი იგი დაიფარნა, რაჲთამცა პირველ წარტაცებული იგი მჴეცისაგან **Ⴀდამი** უკმოიჴსნა და მჴეცი იგი მოკლა Ⴟუარითა.

«Ⴉურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა, Ⴋეუფჱ **Ⴈსრაელისაჲ**»! Ⴓფალი მოწყალე არს Ⴇჳსთა ქმნულთა და Ⴋაცხოვარ, Ⴐომელმან Ⴇჳსნი ქმნულნი ნათლად აღმოიყვანნა და დააცხრვნა ცთომანი იგი კერპთ-მსახურებისანი და მის წილ მოგუცა



ცნობაჲ Ⴖმრთეებისაჲ და ცხოვრებაჲ და ყოველი სოფელი განწმიდა და საცთური და სიძულილი წარდევნა. «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა»! მოვიდა და იჴსნა გლახაკი ჴელთაგან ძლიერისათა, გლახაკი და დავრდომილი მიმოდამტაცებელთაგან მისთა.

«Ⴉურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა, Ⴋეუფჱ **Ⴈსრაელისაჲ**»! Ⴐომელმან გუაცხოვნა ჩუენ, ვითარცა იტყუის წინაწარმეტყუელი, ვითარმედ: «არა მოციქულმან, არცა ანგელოზთა, არამედ Ⴋან Ⴇავადმან Ⴓფალმან მაცხოვნეს ჩუენ»(ეს.63,9). Ⴀმისთჳსცა ჩუენ გაკურთხევთ, Ⴓფალო, Ⴋამისა თანა და Ⴑულისა Ⴜმიდისა, კურთხეულსა პირველ საუკუნითგან უკუნითი უკუნისამდე.

Ⴀწ, საყუარელნო, რასა იტყუის Ⴑახარებაჲ? ოდეს შევიდა Ⴈესუ **Ⴈერუსალემდ** ტაძარსა მას შინა, მოუჴდეს მას ბრმანი და მკელობელნი და განკურნნა იგინი. Ⴃა ვითარცა იხილეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა, რაჲ-იგი ქმნა Ⴈესუ სასწაული და ყრმათაჲ მათ ჴმაჲ, ვითარ-იგი **Ⴃავითის** ძედ ხადოდეს და იტყოდეს: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა», განსთქდებოდეს გულითა და ვერ თავს-იდვეს ქებაჲ იგი; მოუჴდეს Ⴈესუს და რქუეს: არა გესმისა, რასა-ესე იტყუიან? გიძნავსა არა ესე Ⴘენ, რამეთუ ვითარცა Ⴖმერთსა გხადიან? ანუ Ⴖმერთმან რაჲ თქუა, ვითარმედ: «დიდებაჲ Ⴙემი სხუასა არა მივსცეო»(ეს.42,8; 48,11). Ⴀწ შენ კაცი ხარ და ვითარ შეიწყნარებ დიდებასა Ⴖმრთისასა და გიყოფიეს თავი შენი Ⴖმერთ?

Ⴞოლო Ⴋან სულ-გრძელმან და მოწყალემან ეგევითარი კადრებაჲ მაცთურთაჲ მათ თავს-იდვა და დააცხრებოდა მათსა სიბოროტესა და მოაჴსენებდა Ⴜერილთაგან წამებასა და რქუა: არა გესმაა ჩემ მიერ წინაწარმეტყუელისა თქმული: «მაშინ სცნათ, რამეთუ Ⴋე ვარ მეტყუელი»(ეს.52,6; შდრ. ეზრ.17,21), და კუალად: «პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ და რაჲთამცა განირყუნა მტერი იგი და შურის-მგებელი»(ფს.8,2).

Ⴐომელ ხართ თქუენ, რომელნი-ეგე შჯულსა და წინაწარმეტყუელთასა აღმოიკითხავთ და Ⴋე, Ⴐომელი წინაწარმეტყუელთაგან ვიქადაგები, მეცრუვებით? აწ თქუენ ჰგონებთ, ვითარღამცა შჯულითა და წინაწარმეტყუელებითა შურს-აგებდით Ⴖმერთსა. Ⴃა ვითარ გიცნობიეს, რამეთუ რომელსა Ⴋე არა ვრწამ,

Ⴖმერთი არა რწამს. Ⴐამეთუ Ⴘე Ⴋამისაგან მოვედი სოფლად და Ⴙემი დიდებაჲ დიდება არს Ⴋამისა თანა.

Ⴃა ოდეს-იგი ესრჱთ მხილებულ იყვნეს უგულისხმონი იგი **Ⴠურიანი** Ⴋაცხოვრისა ჩუენისაგან Ⴖმრთისა, დააცხრვეს სიტყუისგებაჲ იგი, რამეთუ დაიყო პირი ჭეშმარიტისა მიერ, და სხუასა ძჳრის სიტყუასა და სიბოროტესა შეცუივეს მის ზედა. Ⴞოლო ჩუენ ვგალობდეთ გალობასა ამას: «დიდ არს Ⴓფალი ჩუენი, დიდ არს ძალი Ⴋისი და გულისხმისა Ⴋისისაჲ არა არს რიცხჳ»(ფს.146,5).

Ⴃა რამეთუ ესე ყოველი ამისთჳს იქმნებოდა, რამეთუ აღმღებელი იგი ცოდვისაჲ Ⴛჱ Ⴖმრთისაჲ Ⴇჳთ ნებსით ვნებასა Ⴟუარისასა მოვიდოდა და განმსყიდელნი იგი ერთიერთ-



სა შეეზავებოდეს ოც და ათსა მას ვეცხლსა, და კრავი იგი რაჲთამცა ჩუენთჳს დაიკლა – Ⴕრისტე, რაჲთა პატიოსნითა მით Ⴑისხლითა ვიპკურნეთ და ესრჱთ განვერნეთ უკეთურსა მას მბრძოლსა.

Ⴐამეთუ Ⴕრისტემან ივნო ჩუენთჳს Ⴟუარსა ზედა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით Ⴋამისა თანა და Ⴑულისა Ⴜმიდისა ერთ პატივად, ერთ დიდებად და ყოვლისაგან დაბადებულისა თაყუანის-იცემების, რამეთუ ყოველი მუჴლი Ⴋისა მოდრკეს(რომ.14,11), ზეცათანი და ქუეყანისათანი, ყოველმან აღუვაროს, რამეთუ Ⴓფალი არს Ⴕრისტჱ სადიდებელად Ⴖმრთისა Ⴋამისა Ⴑულით Ⴜმიდითურთ, აწ, მარადის, უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

